საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კურდანაი

კურდანაი, X ს. ქართველი ჰიმნოგრაფი, მესხეთის ლიტერატურული სკოლის წარმომადგენელი. 70-იანი წლებიდან მოღვაწეობდა საზღვარგარეთ, სინას მთაზე. ჩვენამდე მოღწეულია კ-ს ერთადერთი აკროსტიქული საგალობელი (კიდურწერილობა „თავნი იტყჳნ კორდანაჲ“), რ-იც შესულია მიქაელ მოდრეკილის „იადგარში“ (978–988).

თხზ.: [წიგნში] ინგორიყვა პ., ქართული სასულიერო პოეზია, წგ. 1 – ტექსტები. VIII–X სს. ტფ. 1913.

ლიტ.: ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა პ., თხზ. კრ. შვიდ ტომად, ტ. 3, თბ., 1965; კ ე კ ე ლ ი ძ ე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, თბ., 1960; ს უ ლ ა ვ ა ნ., კურდანაი, „საქართველოს საპატრიარქო“, 2001; ჯ ღ ა მ ა ი ა ლ., მეათე საუკუნის ქართველი ჰიმნოგრაფები (ეზრა, კურდანაჲ), «მაცნე. ენისა და ლიტერატურის სერია», 1973, №4.

ლ. ჯღამაია